№ 250

შაბათი, 18 ნოემბერი 1895

1877--1895

ივერია

№ 250

შაბათი, 18 ნოემბერი 1895

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРIA.“

პარგს საჩუქარს

მიიღებს მპოვნელი.

მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი ნინო აცხადებს, რომ 14 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, როდესაც იგი ეტლით მიდენილა ლამბორატორის ქუჩიდგან ვოკზალზედ, ფაიტონიდგან გადავარდნია ხელის საკ ვოიაჟ, რომელშიაც ყოფილა: ოქროს ჯვარი, გულზედ დასაკიდებელი, ფულად 25 თუმნამდე, შემნახველ კასის კნიჟკა ორმოცის თუმნისა და კიდევ სხვა ნივთები. მპოვნელთ სთხოვენ წარადგინონ ზემოდ-აღნიშნული დანაკარგი შემდეგს ადგილას: ლაბორატორის ქუჩა, სახლი ლალაევისა, № 18, სოფიო იოსელიანისას. (3—2032—3).

ორშაბათს, 20 ნოემბერს, 1895 წელს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში მოხდება კრება **კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა.** კრების განსახილველ საგნებს შეადგენენ:

1) ადმინისტრატიული კითხვები. 2) მოხსენებანი: ა) ხაზინადარის ი. კ. სავიცკისა. ბ) წიგნთ-საცავის გამგებლის ა. ი. მიტკევიჩისა. გ) მდივნის ა. ს. ფრენკელისა. 3) ამორჩეულ იქმნებიან თანამდებობაზედ ამ $189^5/_6$ წლისათვის. 4) რეფერატი საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელისა: „კავკასიაში ძარცვის ეკონომიური მიზეზნი“.

საზოგადოების წესდების მე-17 მუხლის ძალით სხდომას შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ.

(3—2).

ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ სასჯულო საქმეთა სამინისტროს მიართვა თხოვნა იმაზე, რომ გამიჯვნის საქმეთა გარჩევის დროს სასამართლოს შემადგენელთა შორის დაინიშნოს წევრად, ხმის უფლებით, თავად-აზნაურთა წარმომადგენელი. ეს თხოვნა, როგორც იუწყება გაზ. „ტიფ. ლისტ.“ სასჯულო საქმეთა სამინისტროს წარმოუგზავნია ტფილისის სასამართლო პალატაში, რათა სასამართლო პალატამ გამოსთქვას ამაზე თავისი აზრი. (ტ. ლ.)

⁂ 14 ნოემბერს სადგურ წიფასა და ხაშურს შუა მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. ამ ჟამად მხოლოდ ერთი ვაგონი დადის მგზავრთათვის მე-3 კლასისა და დანარჩენი ვაგონები ან ცალიერებია ხოლმე, ან არა და დატვირთულია ბარგით; არ ეზიდებიან ჯერ-ჯერობით ისეთს საქონელს, რომელიც ადვილად შეიძლება აფეთქდეს. ხაშურიდგან მატარებელი დილის 7 საათზედ გადის და წიფაში 8 საათზედ ჩადის; ხოლო წიფიდგან გამოდის ნაშუადღევის 5 საათზე და ხაშურში 6 საათზე მოდისო, სწერს გაზ. „ნოვ. ობ.“-ე.

⁂ 15 ნოემბერს საბჭოს აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა გირვანქა ღორის ხორცზე 8 კაპ.—გატყავებულზე, ხოლო გაუტყავებელზე 7 კაპ. („ნოვ. ობ.“).

⁂ პირველი გამოძიება თავადის ნ. ი. ამატუნის საქმის შესახებ უკვე დაუსრულებიათ და ბრალმდებელის ამხანაგ ა. ა. კრასოვსკისათვის გარდაუციათ (ნ. ო.).

⁂ როგორც გაზ. „მოსკ. ვედ.“-ს შეუტყვია, ნება დაურთავთ «ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოება» დაარსდეს, რომელმაც ქვა ნახშირი უნდა ამუშავოს თურმე ქუთაისის გუბერნიაში. საზოგადოების ძირის თანხას შეადგენს 2,000,000 მან., რომელიც 16,000 აქციად არის დანაწილებული, თვითეული 125 მან.

⁂ ჩვენ მოგვივიდა 1896 წლის ახალი კედლის კალენდარი, შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ. კალენდარს, გარდა კვირა-უქმე დღეებისა და სხვა საჭირო ცნობებისა, ჩართული აქვს ისტორიული ცნობები აგრეთვე იმის შესახებაც, თუ რა დღეს და რა რიცხვში რა შესანიშნავი ამბავი მომხდარა წარსულში. ცნობები შეეხებიან როგორც საქართველოს ისე მთლად კავკასიის ისტორიას. ფასი კალენდრისა ორი აბაზია.

⁂ ოლგა პალემი, რომელიც გასამართლებულ იქმნა სტუდენტის მოკვლის გამო, როგორც ექიმებმა შეამოწმეს, თავის ჭკუაზე ყოფილა ფრიად.

⁂ ს ნორიო: წრევანდელი ჩვენი მდგომარეობა ვერაფერი სანუგეშოა. ჯერ უმისოდ რა მოსავალი იყო ხოლმე ღვინისა ჩვენს სოფელში, და ეხლა ხომ სათქმელი არ არის. ჩაგვიარა ფუჭად მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგევმა, მერე სად,—იქ, სადაც მუშა ხელი ქალაქთან სიახლოვისა გამო მუდამ ძვირადა ფასობს. ასე რომ გვცოდნოდა, ხელსაც არ დავაკარებდით ვენახებს. პურისა კარგი მოსავალი იყო, როგორც უმისოდ, მაგრამ ჩვენს ათას-გვარ გაჭირ-

ფელეტონი

ეკლიანს გზაზედ.

(მოთხრობა).

შემდეგი*)

VI

თიკო მთელი ვახშამი დაფიქრებული და რაღაც დაღონებული იყო. მეტად არეული ხალხის უთავბოლო ჟივილ-ხივილი გულს უწუხებდა... ვანო? ვანომ ხომ უარესად დატანჯა თიკო... მთელი საღამო ერიდებოდა და ვახშამზედაც სუფრის ბოლოს ხნიერ ხალხში ჩაჯდა. თიკოს ვანოს საქციელი და ანდროს ლაპარაკი საგონებელ-საფიქრებლად გაუხდა და ირგვლივი დროს გატარება და მხიარულება არა გაუგია-რა. თიკო მხოლოდ მაშინ-ღა გამოერკვია, როცა ალუამ უთხრა:

— შვილო მოემზადე, შინ წავიდეთ.

თიკომ მონახა თავისი ზედა ტანისამოსი, გამოეთხოვა მასპინძელს და ძალუა-ბიძაშვილებთან ერთად წავიდა. ქუჩის გრილმა ნიავმა თიკოს შეხურებული შუბლი გაუგრილა... მიდიოდა, მაგრამ წამ-და-უწუმ უკან იხედებოდა. ქუჩაზე გამოსვლის უმალ ვანო შენიშნა და იფიქრა, იქნება გასაცილებლად წამოგვყვესო. აგერ თიკომ თავის სადგომის ქუჩას გადაუხვია, კიდევ მიიხედა და რომ მომავალი ვერავინ დაინახა, საშინლად ამოიოხრა და ფეხი აიჩქარა... მივიდა თავის სახლის კარებთან, კარები დაარაკუნა და უცებ საშინელი მუხლების კანკალი მოუვიდა. ძლივძლივობით-ღა შევიდა საწოლს ოთახში და ტანისამოს გაუხდელი საწოლზე გადაწვა. ბალიშზე მიდო თავი, მაგრამ თიკოს თვალს ძილის მაგიერ გაბუტული ვანოს სახე არ შორდებოდა. „რად მერიდებოდა ვანო? რად იყო ისე დაფიქრებული? იქნება ეჭვი რამ დაებადა ანდროს რომ ვეთამაშე? იქნება მართლა? მერე ასე მალე ეჭვიანობა? რა საბუთი მივეცი მერე? მაგრამ... თიკოს ანდროს ნალაპარაკები მოაგონდა. იქნება ანდრო ასე გულმტკივნეულად იმიტომ მელაპარაკებოდა, რომ რაიმე აზრი აქვს და ეს ვანომაც იცის? არა მგონია! მაშ, ოხ, ღმერთო! ასე მალე ეჭვი, ბუტიაობა? თიკოს აფორიაქებული ტვინი მოჩლუნგდა. აზრი, ფიქრი დომხალივით აერია. გრძნობიერებამ გაიმარჯვა, გული ამოუჯდა და ქვითინს მოჰყვა. ისედაც მოქანცული თიკო ტირილმა უარესად მოქანცა. მოდალულს, მოწყვეტილს შეუმჩნევლად მიეძინა.

მეორე დილით, მოსწავლე ბავშვების ჟივილმა-ღა გამოაღვიძა თიკო. სწრაფ გამოიცვალა ტანისამოსი და გაკვეთილზე გამოვიდა. დაიწყო გაკვეთილი, მაგრამ ეს რა ამბავია? მასწავლებელს გაკვეთილი ეშლება, კითხვა—კითხვას არ მოსდევს, სიტყვა—აზრს არ ეთანხმება. მოსწავლეები გაოცებული მისჩერებიან მასწავლებელს, რომელმაც ვაი-ვაგლახით გაათავა პირველი გაკვეთილი. მეორე გაკვეთილი უარესი გამოუვიდა... მასწავლებელმა პატარა ბავშვების სახეზე გაოცება-გაუგებრობა ამოიკითხა. საშინლად შერცხვა... გაჭარხლდა... ამ წუთს მზად იყო სიცოცხლეც-კი გაეწირა... არა, მეტს ველარ შესძლებდა თიკო და ორ გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები დაითხოვა.

მოსწავლეთა მშობლები სკოლიდამ ბავშვების ადრე დაბრუნებამ საშინლად გააკვირვა... დღემდისაც თიკოზე პატარა ქალაქის მოცლილს ხალხს თავისებური ჭორი ჰქონდა შეკოწიწებული და იდუმლად ინავარდებდა, სადაც-კი შესაძლებლადა ხედავდა იმის ნავარდს. დღევანდელმა შემთხვევამ ბოროტს ენას ისედაც გალესილი პირი—გაუბასრა, იდუმლობა ჩამოაცალა, სახლს გამოაცილა და მეტის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს. ქალაქის ტუჩა-პრუწია ქმნილებანი თიკოს ისედაც კეთილის თვალით არ უყურებდნენ და დღეს ხომ... თიკო მეტი შეუბრალებელი ღირსებით შეამკეს. უდანაშაულოს დამნაშავედ გარდაქმნა, კეთილისა ბოროტად, ლამაზისა მახინჯად და პატიოსნისა უპატიოსნოდ ჭორის აუცილებელი კუთვნილებაა და თიკოს ხომ ჭორის მშობლების თვალში არც თუ წინადა ჰმონდა რაიმე მოსაწონი თვისება? გავარდა ბურთი და მთელი ქალაქი ერთმანეთს ეცა. მოწაფეები დაითხოვა თუ არა, შევიდა თავისს ოთახში, ძალა-მიხდილი სავარძელში ჩაჯდა და ხელები თავში იტაცა. საფეთქლები საშინლად უცემდა, გული უკვნესოდა—შემოსტირო და. კარგა ხანს იმაგრა თავი თიკომ, აღელვებული გულის ფიალა აივსო და გადმოხეთქა კიდეც. დიდხანს ტიროდა თიკო. ტიროდა თავისის ხასიათის სისუსტეს და ასე მალე იმედის მაცისკროვნებელის თავ-განწირვის შეფერხებას.

თიკოს ტირილი ნენეს მეორე ოთახში შემოესმა და შეშინებული შვილთან გავიდა, მიიჭრა შვილთან და შეეკითხა:

— შვილო, დედა გენაცვალოს, რა იყო?

ნენეს ხმამ თიკო გამოარკვია; თავი მაღლა აიღო და დედას შეჰხედა. დედის დანახვამ, იმის გულ-მტკივნეულმა სიტყვამ თიკოს უფრო აუჩვილა გული და ჩუმი ქვითინი უფრო გააძლიერა. ნენე მთლად დაიბნა, სხვა რომ ვერა მოეაზრა-რა, შვილს ერთსა და იმავეს ჩასძახოდა.

— შვილო, მითხარ, დედა გენაცვალოს, რათა სტირი?

ამაოდ ჩასძახოდა დედა. საცოდავი თიკო დაშრა, ცრემლები აღარ მოსდიოდა, ტირილმა მოქანცა, მოსწყვიტა. თიკომ ძლივს-ღა წამოილუღლუღა.

— დედი, ლოგინთან მიმიყვანე.

დედა მხრებში შეუჯდა შვილს და მიიყვანა ლოგინთან. თიკომ თავი მიდო თუ არა ბალიშზედ, მაშინათვე დაეძინა.

კარგა საღამომდის ტკბილად ეძინა თიკოს. ძილმა ჯეროვანად იმოქმედა და მოქანცული ძარღვები შეუმაგრა; თიკომ გაახილა თვალები, შეჰხედა იქვე მწუხარე სახით მჯდომარე დედას და ღიმილით უთხრა:

— იქნება დედი შეგეშინდა?

— როგორა ხარ შვილო? შეეკითხა ნენე.

— ძალიან კარგად!

— მადლობა ღმერთს. მე-კი კინაღამ მომკალ, შვილო!

— მაშ შეგეშინდა?

— მაშ გამიხარდებოდა? რა იყო, რამ შეგაწუხა?

— არაფერი, დედი, წუხელ ძლიერ გვიან დავბრუნდი და უძილობამ დამასუსტა. მაგრამ ვანო ხომ არ მოსულა?

— გვერდიდამ არ მოგშორებივარ შვილო და რა ვიცი.

— ბიჭს არა უთქვამს-რა?

— არა!

თიკო ლოგინიდგან წამოდგა. პატარა წერილი მისწერა ვანოს, მსახურს გაუტანა და თვითონკი მოსწავლეების რვეულების გასწორებას შეუდგა. ნენე გულ-დამშვიდებული მეორე ოთახში გავიდა და ხელ-საქმეს მოუჯდა.

ვანომ დიდხანს არ ალოდინა თიკო. ნახევარ საათში ვანო თიკოსთან მოიჭრა და სალამის უმალ გაკვირვებითა ჰკითხა.

— ქალო, რა დაგმართია, რა ფერი გადევს?

— წუხანდელი უძილობის ბრალია, მწარე ღიმილით უპასუხა თიკომ.

— მეც ხომ გვიან დავბრუნდი! არა რად მატყუებ იქნება ავადა ხარ?

— ავად? შეიძლება ისეც იყოს, მხოლოდ?

— მხოლოდ?

— ის რომ ხორციელს ავადმყო-

*) იხ. „ივერია“ № 249.

ვებას ის ვერას უშველის, რადგანაც ჩვენს პურს გასავალი სოფელს გარედ სრულიად არა აქვს; ხოლო რა აღებ-მიცემობა და რა თანხა ტრიალებს თუნდაც უდიდესს საქართველოს სოფელში, ეს ყველამ უწყის.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ᲝᲓᲔᲡᲐ. ამ დღეებში ოდესის უნივერსიტეტის პროფესორთა კრებამ განიხილა მედალზედ წარდგენილი თხზულებები და უმაღლესი ჯილდო მიუსაჯა შვიდს კაცს—2 რუსს, 3 ებრაელს და 2 ქართველს: ფილოლოგს ვახუშტი ლორთქიფანიძეს, რომელმაც მიიღო ოქროს მედალი თხზულებისათვის: «ვოევოდა პეტრე ჩერჩელი და ვალახია“ და მეორესაკი, იურისტს, ნიკო თავდგირიძეს, რომელმაც დასწერა: „ბიზანტიის კანონების გავლენა რუსულს კანონმდებლობაზე“. ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ მეორე თემას, რომელსაც ავტორმა სხვა ნაირი თვალით შეჰხედა, არ გაჩერდა პროფესორის მიერ ნაჩვენებ ვიწრო ფარგლებში და მით მოაშორა თავისს ნაწარმოებს ვიწრო სპეციალური ხასიათი. მან ანალოგიურად განიხილა ბიზანტიის კანონ მდებლობის გავლენა როგორც რუსულ სამართალზე, ისე ქართულზედაც. შემდეგ შეადარა რუსული და ქართული სამართალი ერთმანეთს. დაამტკიცა, რომ ის ადგილები, რომელნიც არიან რუსულში და არ მოიპოვებიან ბიზანტიელ კანონებში, რუსებს,—ბევრ სხვასთან,—წაუღიათ ქართულ კანონმდებლობისაგან, რომელიც აგრეთვე იყო ბიზანტიის გავლენის ქვეშ, მაგრამ იქიდამ გადმოტანილ კანონებს თითქმის ყოველთვის პირადს, ინდივიდუალურს ხასიათს აძლევდა. ის ადგილები ალექსი მიხეილის ძის «ულოჟენიეში», რომლის წყაროებსაც ბიზანტიის კანონებში ვერ ჰპოულობდნენ და ლიტოველთა „სტატუტში“ ეძებდნენ, ბ. თავდგირიძემ მონახა ვახტანგის კანონებში და ისტორიულ შედარებითი საშუალებით დაამტკიცა, რომ ეს ადგილებიც გადმოუტანიათ ბიზანტიისაგან ქართველების შემწეობით. ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ, ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, მისი განთქმული წიგნთ-საცავი და ის სკოლა მწიგნობართა, რომელიც მან შეჰქმნა და რომლის გავლენის ქვეშ, სხვათა შორის ბევრი რუსის ბერებიც იყვნენ, საფუძვლიან ნიადაგზედ აყენებს ნიკო თავდგირიძის აზრს. დასასრულ ავტორმა, პროფ. ენგელმანის თანახმად, ის აზრი გაიყვანა, რომ რუსული სამართლის რიგიანად გამოკვლევისათვის აუცილებლად საჭიროა მეზობელი ხალხების სამართლის ადრიანად შესწავლა და გაცნობა. ამ უკანასკნელთა შორის ნ. თავდგირიძე პირველ ადგილს უთმობს ქართველებს. პროფ. სოკოლსკი, რომელსაც ამ თხზულების განხილვა ჰქონდა მინდობილი, სრულიად დაეთანხმა ავტორის უმთავრესს ტეზისებს, მაგრამ რადგანაც ქართული ენის უცოდინარობის გამო მან ვერ შეიძლო გადაეკითხა ის მასალები, რომლითაც ნ. თავდგირიძე სარგებლობდა და მით დარწმუნებულიყო მისი სიტყვების სრულ სიმართლეში, მიუსაჯა მას ვერცხლის მედალი და პირადად სთხოვა, რომ ეს ნაწერები დაბეჭდოს. ამასთანავე პროფესორმა დაუმატა, რომ ძლიერ სასურველია ახალგაზდა ქართველ-იურისტებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ამ საგანსო, რადგანაც ეს მათ პირად ინტერესებსაც შეიცავს. როგორც ჩვენ შევიტყეთ, ბ. თავდ—ძე უსათუოდ დაბეჭდავს თავისს ნაწარმოებს თუ მთლად არა—სიდიდის გამო,—ქართველებისთვის საინტერესო ნაწილს მაინც.

—

რადგანაც ქართველებს არა აქვთ თავის მოღვაწეთა დიდი ნახატები (გარდა რამოდენიმეთა) და ბიუსტები და ბარელიეფები-კი სრულებით არა, ამიტომ ოდესის ქართველმა ახალგაზდობამ განიზრახა შეძლებისამებრ შეავსოს ეს ნაკლი. მათ გადაწყვიტეს გამოსცენ ოდესის სტუდენტების სალაროს სასარგებლოდ დიდი ნახატები, ბიუსტები და ბარელიეფები ზოგიერთ საპატიო პირთა და ამნაირად დაეკმაყოფილონ ორნაირი მოთხოვნილება. ამ მოკლე ხანში გამოიცემა სანიმუშოდ მამია გურიელის და რაფ. ერისთვის დიდი ნახატები ფოტოტიპიით გადაღებული ბრესტარლის ქაღალდზე. მოკლე ხანშივე გამოვა თ. მამია გურიელის ბარელიეფი. ვსთხოვთ ბ. როინაშვილს, ან სხვებს, ვისაც-კი შეუძლია, გამოგვიგზავნონ ღირებულ ფასათ ჩვენი მწერლების და გაბრიელ ეპისკოპოსის ფოტოგრაფული სურათები, თითო კაცის ორი სურათი—„en face“-ი და პროფილი და თუ მოხერხდება „en derrière“-იც, რადგანაც თუ პირველი ორ გვარი სურათები მაინც არ იქნა, ბიუსტი და ბარელიეფი არ გაკეთდება.

ვსთხოვთ ამასთან პატივცემულს თ. კირილე ლორთქიფანიძეს დააჩქაროს მამიას ლექსების გამოცემა, რადგანაც ძლიერ სასურველია ერთ დროს გამოვიდეს, როგორც წიგნი, ისე ავტორის სურათი და ბარელიეფიც.

10 ნოემბერი.

—

ᲒᲣᲚᲔᲥᲐᲠᲘ, (სენაკის მაზრა). ოთხმოც და თხუთმეტ წელს ემდურიდნენ ჩვენი სოფლელები, ცოტა ჭირნახული მოგვცაო და ახლა ესეც წყალმა წაგვართვა. 29 ოქტომბერს, კვირას, დილის ოთხ-საათზედ, შეიქნა საშინელი კოვლი; ამ ხმაზე ხალხს გამოეღვიძა; მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, რაც მოულოდნელი სურათი იმან დაინახა. ყველა სახლში წყალი შესულიყო. ასტყდა ყოველ კუთხეში საშინელი წივილ-კივილი: „არიქა გვიშველეთ ვირჩვებითო“, მაგრამ ვინ იყო მშველელი, როდესაც ყოველ კაცს თავი საშველად ჰქონდა. შემდეგ მიმართეს ისევ სახლის საბურავს და ჭერებს. აასხეს ზევით თუ რაიმე წვრილ-ფეხობა გააჩნდათ; ზოგმა-კი ურმებით თუ საწნეხლებით მიაშურეს ეკკლესიის გალავანს, რომელიც ცოტა მაღლობი ალაგია. სწორედ შემაძრწუნებელ სურათის შთაბეჭდილებას მიიღებდა კაცი ამის მნახველი, როდესაც მომცურავ კაცს და ქალს, ნახევარ შიშველ-ტიტველს, მოჰყავდათ ბავშვები კალთაში გამოკრული და მასთან პირუტყვები უკან ბაწრებით გამობმული ერთი მეორეზედ. ბევრი ზარალი ჰქნა ამ უბედურ შემთხვევამ: პირუტყვები, დაწყებული ცხენიდამ უკანასკნელ წიწილამდის, ჭირნახული შეკრებილი, როგორც სახლში, ისე ყანებში, სულ შთანთქა რიონმა. წყლობა ერთი დღე და ღამე განეგრძო. ხალხი გაციებული და ამასთან მშიერი დარჩებოდა ღვთის ამარა, გაშლილ ცის ქვეშ, მაგრამ პატივცემულ გიგო ნიკოლოზის ძის დიდიას ოჯახობამ დიდი საშუალება ალმოუჩინა ამ გაჭირვების ასაცდენათ. ჯერ როგორც გადმოვიდა რიონი, სოფელში გაგზავნა კაცები და ურმები ხალხის გამოსაყვანათ მშრალ ადგილებში და მერე დააკმაყოფილა ეს უპატრონო ხალხი, როგორც ბინით, ისე სასმელ-საჭმლით. მარჯვედ იყო ადგილობრივი მამასახლისიც, რომელიც მხნედ იქცეოდა და საჭირო განკარგულებას აძლევდა.

ხუთი თვის განმავლობაში ეს სოფელი სამჯერ მოლეკა უწყალო რიონმა. არ შეიძლება ზარალის აღწერა

31 ოქტომბერს უფრო მომეტებული წყალ-დიდობა იყო და თუ რამე შეგვრჩა მაშინ, ეხლა წაგვართვა.

მიხაკო.

ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ.

† ალექსანდრე დიუმა-შვილი.

გუშინ დეპეშამ გვაცნობა, რომ გარდაცვლილა შესანიშნავი საფრანგეთის მწერალი—ალექსანდრე დიუმა-შვილი. ალექსანდრე დიუმა-შვილი დაიბადა 29 ივლისს 1824 წ. მამა მისი საფრანგეთის გამოჩენილი რომანისტი იყო, დედა-კი უბრალო პარისელი მუშა-დედაკაცი. ეს ქალი არ ყოფილა დიუმას კანონიერი ცოლი, ასე რომ ალექსანდრე უკანონო შვილი იყო. თუმცა მამამ შემდეგ იშვილა ალექსანდრე, მაგრამ ალექსანდრეს გულში ჩარჩა სამუდამოდ, რომ ბავშვობაში მამის ალერსს, სრულიად მოკლებული იყო. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია დიუმა-შვილის ლიტერატურულ მიმართულებაზე:

ფობას სრულიად არა ვგრძნობ!

— უფრო ცუდი, თუ რაიმე იდუმალმა სენმა შეგიპყრო!

საქმეც მაგაშია ვანო, რომ ჩემი სულიერი ავადმყოფობა არც იდუმალია და არც უმიზეზო.

— ავადმყოფობა და იმის მიზეზი თუ ცხადია, განკურნებაც ძნელი არ არის!

— დიაღ, ძნელი არ არის, როცა მხოლოდ ავადმყოფზედ იქნება დამოკიდებული და ავადმყოფობის მიზეზიც ხელს შეგიწყობს.

— მერე ისეთი რა მიზეზია, რომ მისი დაძლევა გაგიძნელდეს!

— ძნელია ხორციელი ადამიანის შეგნება და...

— მერე ვინ არის, გააწყვეტინა სიტყვა ვანომ.

— რას იკატუნებ თავს, ვითომ-და არა გესმის-რა! ერთი მითხარი, გუშინ მთელი საღამო რატომ ერთხელ არ მოხვედი ჩვენთან, რად მერიდებოდი?

— ჰა, ჰა! გადიხარ ხარა ვანომ. აი თურმე რაში ყოფილა საქმე. თუ შენი ავადმყოფობის მიზეზი ეგ არის, საშიში არაფერი ყოფილა!

— შენ იცინი და მე-კი არა მკითხავ თუ რა ტანჯვა გამოვიარე წუხანდელს აქეთ. ჩემს წმინდა მოვალეობასაც-კი ვუღალატე და დღეს ორ გაკვეთილზე მეტი არა მქონდა.

— ნუ თუ მართლა? ყვედრების კილოთი უთხრა ვანომ! მერე არა გრცხვენიან, რომ გულის-თქმამ დაგიმორჩილა, ისე დაგრია ხელი, რომ საქმესაც-კი შენი სისუსტე დაატყვევარ მეგონა, მით უფრო, რომ შენი სიტყვა მწამდა და ჩვენ შორის ეჭვიანობა უარ-ყოფილი მეგონა.

— მეც სწორედ ეჭვიანობამ შემომყარა გულს. მხოლოდ ეჭვიანობა შენის მხრივ იყო, რომ...

— მე? ეჭვიანობა? გაკვირვებით წამოიძახა ვანომ. ღმერთმა მაშოროს. მაგრამ არ გამტყუნებ! ჩვენ კიდევ ვერ ვიცნობთ ერთმანეთს ისე, როგორც საჭიროა. მაგრამ არა უშავს-რა! უკეთ შევისწავლით ერთმანეთს, შეაფერად შევთანხმდებით და უფრო ერთგულად გავწევთ ცხოვრების უღელს.

— სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! წუხანდელი შენი საქციელი რამ გამოიწვია? რა მიზეზი მოგეცი, რომ ასე სასტიკად დამტანჯე? მინამ არ ამიხსნი, ვერ მოვისვენებ.

— მიზეზი მეტი უბრალო და მცირეა. ამასთან ისეთი უბრალოა, რომ სალაპარაკო არც კია, მაგრამ გეტყვი. გეტყვი იმიტომ, რომ ცხოვრებას უფრო ფხიზელი თვალით უყურო. შენ მომეტებული წილი სახლში ზიხარ და რასაკვირველია ადგილობრივ საზოგადოებას არ იცნობ. პირველმა შენმა გამოსვლამ საზოგადოების კარგი მხარე გიჩვენა. ამ გარემოებამ წმიდის გულით გაგახარა და მომავალი მოქმედება საიმედოსაადვილო დაგისახა. საზოგადო მოღვაწისათვის ეს გრძნობა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ... ჩვენის ქვეყნის ზედა-პირი, საზოგადოდ და კერძოდ ადგილობრივი საზოგადოება მარტის თვესავით ცვალებადი და ჭრელია. დღეს გაქებ-გადიდებს, ხვალ-კი და უნდობლად სარმასა გდებს და უარაობის წუმპეში გაგდებს. ჩვენდა საუბედუროდ, ასე უკუღმართად მოეწყო ჩვენი აწინდელი ცხოვრება; ჩვენც რაღას ვიზამთ, ნება-უნებურად აწინდელს ცხოვრებას საბელი უნდა ვუთრიოთ, მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ-კი, რომ ყური და თვალი უფრო ფხიზლად გვქონდეს და არ ჩავყვეთ საზოგადოების ბილწს ზნეს. ეს აუცილებლად საჭიროა, თუ ჩვენსავე დაწყებულს საქმეს, არ გვინდა, რომ ჩვენვე ამოვხადოთ სული. წელანაც გითხარ აქაურს ხალხს შენ ჯერ ვერ იცნობ-მეთქი. მე-კი... გული მიშფოთდება, მაგრამ... სალაყბო საგანი გამოუნახავთ და ესეც კი საკმარისია.

— იქნება ჩემს სკოლაზე რასმელაპარაკობენ? შეშინებული შეეკითხა თიკო.

— არა, სკოლას ჯერ არ შეხებიან. გალესილი ბილწი ენა საქმის მოთავე-პატრონს და იმის მეგობარს გაჰკრეს. იმედია არც საქმე დარჩება გულ-ნაკლული. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, დიდად დამაღონა, შემაწუხა და გადავსწყვიტე კიდეც ძლიერ შემემოკლებინა აქ სიარული და შეხვედრის დროს, მერე საზოგადოებაში, მოგრიდებოდი. ძნელი ტანჯვაა ეს ჩვენთვის, მაგრამ რას ვიზამ, როცა საჭიროა. კარგა ხანია თურმე რაც იდუმლად გვწეწდნენ მე და შენ, მეგობრებმა გამაფრთხილეს კიდეც, არა მჯეროდა და შენთვისაც ხომ არა მითქვამს-რა. აი წუხანდელი ჩემი საქციელის მიზეზი და ესევე იქნება შემდეგშიაც.

— მაშ სულ სიცრუე, თვალთ-მაქცობა ყოფილა?

— რა!

—საზოგადოების დახმარება, გულხურვალე ძონაწილეობა!

— არა! შეიძლება ყველა ეგ გულის სიწმინდითაც იყო, მაგრამ დროებითი—უდღეო-კი!

— ეხლა-კი დავრწმუნდი, რომ წუხელ ანდრო სიმართლეს მეუბნებოდა.

ჩუმად ჩაილაპარაკა თიკომ. ვანომ თიკოს სიტყვები ვერ გაიგო, არც გამოჰკითხა და განაგრძო.

— ეხლა, ჩემო თიკო, ისლა დაგვრჩენია, რომ მხნედ გავუმკლავდეთ ავს ენას, ხასიათი მოვიკოიბოთ, გულის თქმა, სურვილი დრომდის დავიმორჩილოთ და რაკი საქმის უვნებლად სხვის ხელში გადაცემას მოვახერხებთ, მაშინ...

— მაშინ? გაიმეორა თიკომ და ისეთი თვალით შეჰხედა ვანოს, რომ თავის შემაგრება შეუძლებელი იყო. მომღიმარი თიკოს ტუჩები საამბოროდ იწვევდა ვანოს. ვანო დაიბნა, სისხლი აემღვრია, გული აუჩქროლდა, თვალთ დაუბნელდა და თიკოსაკენ წატოტრტანდა კიდეც... ვანომ საჩქაროდ შუბლზე ხელი გადაისო, სწრაფლ მოტრიალდა და ოთახიდამ რეტიანსავით გამოვარდა. ვანო საჩქაროდ გამოვიდა ქუჩაზე და აჩქარებით სახლისაკენ გასწია.

VII

ანდრო ჯიბაშვილმა თიკოს და ვანოს დაახლოვება იცოდა, მაგრამ ამ გარემოებას საშიშარად არ სთვლიდა. ან საღ შეეძლო პატარა ვანოს დიდს ანდროსთან ბრძოლა, მერე იმ საზოგადოებაში, სადაც ანდრო ზემო თაროს იყო მოქცეული და ვანოს-კი ჯერ ჭიშკარშიაც არ მოემაგრებინა ფეხი. ანდოს ეს ჭეშმარიტებად ჰქონდა აღიარებული და თიკოსთან უკანასკნელი ლაპარაკის შემდეგ გადასწყვიტა კიდეც უფრო გაბედვით შესდგომოდა თვისი წადილის აღსრულებას. დახანებას არ ჩვეული ანდრო მოემზადა კიდეც თიკოსათვის თვისი აზრი გამოეცხადებინა, მაგრამ... ანდროს ყუთაძდე ქალაქში გავოცელებულმა ჭორმა ძიაღწია. არა სასიამოვნო ამბებმა ანდროს წადილი-იმედი ცოტა არ იყო შეარყია. „ნუ თუ მართლა იმ წუწკმა თოკო ხელში მოიგდო? მერე ასე მალე? ტყუილად არას იტყვიან, ძართალიც უოევია... მაგრამ ვნახოთ აბა როგორ წაძართმევს ვინძე თიკოს თავს! არა უშავს-რა! სჯობს მცირე ხანს დავჩუძდე; ჩუმად ვადევნოთ თვალ-ყური; იქნება ჭორია, ცილისწაძეაა, მურია... ჩვეხი ქალები ერთმანეთის ჯიბრით რას არ იგონებენ? თუ ძართალია, მაშინ-კი! გაჩვენებ ვახო!“ ანდრომ თავისი სურვილის გამოა მკარავება დრომდის შეაყენა და თიკოზე გავრცელებული ჭორის ძიება-კვლევას შეუდგა, იდუმალ საქმეების გამოჩხოეკას და მალე დარწმუნდა, რომ თიკო მტკნარი სიცრუის და ბოროტი ენის მსხვერპლი იყო. დარწმუნდა-კი, მაგრამ იმის ძაგიერ, რომ უდანაშაულო სუსტი არსებისათვის მფარველობა გაეწია, ბოროტს ენას გაჰმკლავებოდა და საზოგადოებისათვის ჭეშმარიტება დაენახვებინა, თითონ უფრო ცდილობ-

თვის ნაწარმოებში დიდის სიყვარულით და სიბრალულით ეხებოდა უკანონოდ შობილთ და მათ უბედურ დედებს.

დაასრულა თუ არა სწავლა „კოლლეჯ ბურბონ“-ში, დიუმა-შვილი მაშინვე ლიტერატურულს მოღვაწეობას შეუდგა და თვრამეტის-წლისამ გამოსცა ლექსთა კრება „სიჭაბუკის ცოდვანი“. შემდეგ დაბეჭდა მრავალი მოთხრობანი და რომანები. დიუმა-შვილის დიდი ნიჭი ცხადი შეიქნა ყველასათვის, როდესაც მან პსიხოლოგიურ რომანების წერა დაიწყო. ამგვარს რომანებში და შემდეგ დრამებში მწერალი საკვირველის ნიჭით და გამბედაობით შეეხო ახლანდელ საზოგადო და საოჯახო მრავალ მწარე საგნებს: ქალთა მდგომარეობას, ცოლ-ქმართა და შვილთა ურთიერთობას და სხვა. ყოველ მის ამგვარს დრამას, ან რომანს დიდის ამბით ეგებებოდა საზოგადოება ᲓᲐ კრიტიკა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაშიაც. ყველაზედ უფრო შესანიშნავია დრამა „მარგარიტა გოტიე“, რომელიც პირველად რომანად იყო დაწერილი.

საკვირველია ამ დრამის ბედი; ეს პირველი დრამა იყოდიუმასი და მაშინ დიუმა არ იყო ისე სახელ-განთქმული; ამიტომ „მარგარიტა გოტიეს“ წარმოდგენა არც ერთს თეატრს არ უნდოდა. თეატრის დირექტორები გულცივად უბრუნებდნენ ავტორს ხელთ-ნაწერს, როგორც სრულიად უვარგისს. დიუმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, დრამა ყუთში ჩააგდო და გარდასწყვიტა — სრულიად დაევიწყნა იგი. მაგრამ ამ დროს მისმა ერთმა მეგობარმა შეიძინა თეატრი და გამოართვა დიუმას დრამა. არტისტებიც გულ-ცივად შეუდგნენ მზადებას. ყოველ-გვარ უბედურებას ზედ დაერთო კიდევ ცენზურა, რომელმაც აღკრძალა პიესის წარმოდგენა. პროტექციით და დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქმნა, გამოიტანეს საჭირო ნება-რთვა და პიესა წარმოადგინეს. წარმოდგენის წინედ თეატრის დირექტორმა მოკლე სიტყვა უთხრა არტისტებს: ბატონებო! თქვენ არასოდეს არ დაივიწყებთ დღევანდელ საღამოს, რადგანაც თქვენ იღებთ მონაწილეობას უდიდეს და შესანიშნავს დღესასწაულში საფრანგეთის თეატრისა! არტისტებმა ეპვის ღიმილით მოისმინეს დირექტორის სიტყვა. მაგრამ გამოდგა, რომ დირექტორი მართალს ამბობდა: პიესამ შესანიშნავად გაიმარჯვა, ავტორის სახელი მთელს ევროპაში გაითქვა, „მარგარიტა გოტიე“ გადითარგმნა მრავალ ენებზე და პიესამ საუკეთესო ადგილი დაიჭირა მსოფლიო რეპერტუარში.

ამ დრამით დიუმა გამოესარჩლა ეგრედ წოდებულ „დაღუპულ ქალებს“; მარგარიტა გოტიე, რომელსაც საზოგადოება ჰკიცხავდა, რომელსაც დაღუპულად სთვლიდა, ავტორმა დაგვიხატა, როგორც ზნეობით მძლავრი ქალი, რომელსაც შეუძლია დიდი სიყვარული, სიყვარული თავ-განწირულებამდე... ამ დრამას მოჰყვა სხვა პსიხოლოგიური და სოციალური დრამები, რომელთა შორის შასანიშნავნი არიან: „დემი-მონდ“, „კესტიონ დარჟან“, „მოსიე ალფონს“, „ლეტრანჟერ“, „დენიზ“ და სხვანი. ყველა ამ დრამებში დიუმა, როგორც მწერალი — გვიხატავს ცხოვრების სინამდვილეს, როგორც პსიხოლოგი — გვისურათებს სულისა და ადამიანის გულის მოძრაობასა და ღელვას, როგორც მორალისტი გვიქადაგებს სიყვარულს მოყვასისადმი და სიბრალულს დაჩაგრულთადმი. გარდა დრამებისა დიუმა-შვილმა ზოგიერთ ზნეობითს საკითხებს პუბლიცისტური წერილებიც უძღვნა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ამოკრებილი ამბები.

— ერთს პატარა ქალაქში გერმანიაში ძაღლი თურმე ფოსტის მოხელეობას ასრულებს კარგად და შეუცდომელად. იგი ყოველ დღე მიდის მახლობელ რკინის გზის სადგურზე სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი მოდის და ფოსტა მოაქვს. ფოსტის მოხელე ჩაუწყობს ხოლმე წიგნებს და წერილებს და ძაღლი მაშინვე გარბის და მიუტანს ხოლმე პატრონს ამ ამანათსა. პატრონი თურმე გამგებელია ფოსტისა იმ ახლო-მახლო და ძაღლისაგან მიტანილს ფოსტას თავ-თავისად ურიგებს კუთვნილებისამებრ. (ბ. ვ.)

— ვარსკვლავი, რომელსაც ასტრონომები ვენერას ეძახიან და რომელიც მეტის-მეტად ბრწყინვალეა, ჩვენის დედამიწიდამ 41 მილლიონ ვერსტზეა შორს. შუქი, ანუ უკედ ვთქვათ, სინათლე ამ მანძილს გაივლის ორს წუთს და 17 წამს. ეს გამორკვეული და გამოძიებულია მეცნიერთაგან დაბეჯითებით. ამ გარემოებამ აფიქრებინა ზოგიერთს, რომ შესაძლოა ელექტრონი მოიშველიოს კაცმა, ტელეგრაფის მზგავსი რამ გაკეთდეს ვენერას ᲓᲔ დედა-მიწის შორის ერთმანეთის საუწყებლადაო. თუმცა ერთმა ქვრივმა ბორდოსის სოვდაგრისამ, მადამ გუსმანმა, უკვე ასი ათასი ფრანკი შესწირა იმ პირობით, რომ ამისთანა საუწყებელი რამ გაიმართოს დედამიწის და უახლოეს ვარსკვლავთა შორის, მაგრამ, სამწუხაროდ, სქელი ღრუბელი, რომელშიაც გახვეულია ვენერა, შესაძლოს შეუძლებლად ჰხდის და ამიტომაც ვენერასთან მიწერ-მოწერის გამართვაზე ლაპარაკი უქმია. მეორე ვარსკვლავია, რომელსაც ასტრონომები „მარსს“ ეძახიან და ქართულადაც მარიხი ჰქვიან. ამბობენ, ამ ვასრკვლავთან საქმის დაჭერა უფრო მოსახერხებელია ამ შემთხვევაში და ვინ იცის, იქნება შეწირული ფული ამაზე მიიქცეს. ხოლო საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიამ ეს შეწირულება არ მიიღო, იქნება იმ მიზეზით, რომ შემწირველის პირობის აღსრულება შეუძლებელად დაინახა. ჩრდილო-ამერიკაში ბევრი იმისთანა სამეცნიერო საზოგადოებაა, რომელთაც განუზრახავთ შეეცადონ შემწირველის სურვილის აღსრულებას და იმედი აქვთ, რომ ერთ-ერთს ამისთანა საზოგადოებას გადაეცემა იგი შეწირული ფული. (ვ. ინ. ლ.)

— ყველას მოეხსენება, რომ არის იმისთანა სნეულება, რომელსაც რკუს (ракъ) ეძახიან და რომელსაც დღევანდლამდე წამალი ვერა მოუგონეს-რა. იგი არამც-თუ გადამდებია სნეულისაგან, არამედ სხვა გზითაც შესაყარია თურმე. ამ უკანასკნელ დროს სამკურნალო ლიტერატურაში გამოცხადებულ იქმნა რამდენჯერმე, რომ ეგ სნეულება შეიძლება სახლმაც შეჰყაროსო. მეცნიერს არნოდეს ყველაზე უწ ინარეს შეუმჩნევია კორმეილის ქალაქში. შუა ადგილი ერთის ქუჩისა ამ ქალაქში აღმოჩნდა, რომ სწორედ ბუდეა ხსენებულ სნეულებისა: 17 სახლში 21 შემთხვევა ყოფილა ამ სენით ავად-გახდომისა ამ 40 წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც არც ერთს სხვა სახლში ამავ ქუჩაზე არც ერთი კაცი არ გამხდარა ამ სენით ავად. ლიონში არის ერთი სახლი, რომელშიაც მუდმივ ეს სენი თავს იჩენს. 1873 წ. ამ სენისაგან მომკვდარა ერთი სახლის პატრონი, ოთხის წლის შემდეგ .დგმური—დერეკიკი,მას მერმედ სამს წელიწადს შემდეგ—ეზოს მცველი და ორის წლის შემდეგ კიდევ ერთი მდგმური. ინგლისში შენიშნულია რამდენიმე სახლი, საცა ერთი-ერთმანეთზე ამ სენით გამხდარან ავად: ერთს ამისთანა სახლში რამდენისამე წლის განმავლობაში ხუთი კაცი ამ სენს შეუწირავს.

არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა იმისთანა, რომ ან ჩამომავლობას, ან ნათესაობას დაჰბრალდეს ამ სენის შეყრა. არც ერთს ამ სენით ავად-გახდომილს ერთმანეთთან არავითარი ნათესაობა არა ჰქონია. მხოლოდ ისინი შექმნილან მსხვერპლად ამ ჭირისა, რომელნიც ერთი-მეორის შემდეგ იმყოფარან ერთსა და იმავე სახლში. (ვ. ინ. ლ.)

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

შემდგომ იმ პასუხისა, რომელიც ბ-მა ნელიდოვმა მისცა სომეხთა კათალიკოსს, კოსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარხმა ელჩებს წერილით მიჰმართა.

პატრიარხმა დაუსახელა ძალადობა, რომლიც ოსმალთ იხმარეს, ხმარობენ დღესაც და უთუოდ არც შემდეგში იქმნებიან სომხები თავისუფალნი ასეთ ძალადობისაგან; აღნიშნა უკიდურესი გაჭირვება, რომელშიაც დღეს არიან სომხები ჩაცვივნილნი და რომელიც შემდგომში ერთიორად იმატებს. ამისათვის პატრიარხმა სთხოვა, მიიღონ საჭირო საშუალებანი სომეხთა ერის დასაცველად, რომელსაც დედა-მიწიდგან აღგვა მოელის და აგრეთვე სასტიკი გამოძიება მოახდინონ ამ საქმეში დამნაშავეთა შესახებ.

აქ ერთი რამ არის საგულისხმო: რომ სომეხთა პატრიარხი ოსმალეთისავე სატახტო ქალაქში ჰკიცხავს ოსმალეთს მხეცურ საქციელს, მთავრობასა და თვით სულთანსაც!

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ. მარკიზ სოლსბერიმ ბრაიტონში წარმოსთქვა სიტყვა პასუხად იმ წერილისა, რომელიც ოსმალეთის სულთანისაგან მიიღო.

„ლორდ გერეოგნო და ჯენტლმენნო! დაიწყო სოლსბერიმ, ვიდრე ჩვენ შინაურს საქმეებს შევეხებით, მე ვითხოვ ნებას ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ამ საზოგადოების შორს განვახორციელოთ. ეხლა-კი ერთი თხოვნა-ღა მაქვს. ყოველივე დარდი უკუაგდე და ყოველმხრივ შეემზადე, რომ უკანასკნელი იმედის განხორციელების დროს მოუმზადებლობა არ დაგვეტყოს.

რა იმედი, რა სასოება, სიხარულით შეიმოსა თიკოს სახე. ვანოს ლაპარაკმა დროებით დაჩრდილული ბედნიერების იმედი კვლავ გაუღვიძა. ვანო გაჩუმდა, თიკო-კი სიცოცხლით აღვსილს თვალებს არ აშორებდა. თიკოს თვალთა ისარმა დაიმორჩილა ვანო და კარგა ხანს გაჩუმებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს... უხმო-უსიტყო (ეჭერამ ორივეს ჩვეულებრივი ყოფა შეარყია, დროებით დანაცრული გულის ნაღვერდალი გააღვივა და შეხურებულმა სისხლმა სწრაფ დაურბინა ძარღვებში. ვანო წატორტმანდა და აღგზნებული თიკოს მომღიმარს ტუჩებს დაეწაფა.

მეორე ოთახში მსახურის და ნენეს ხმა მაღლა ლაპარაკმა შეყვარებულნი გამოარკვია. ვანო წამოდგა, გამოეთხოვა თიკოს, პირობა მისცა ზემო კახეთში წასვლამდე კიდევ გნახავო და ოთახიდამ გამოსასვლელად გამოტრიალდა.

— აბა ვანო! ეხლა შენი იმედი-ღა მაქვს. თუ ღა საჭიროდ ვხედავ ჩემს სიცოცხლეს, მხოლოდ ჩვენი მომავალი ოჯახისათვის... უთხრა თიკომ მიმავალს ვანოს.

— ეგ უეჭველი და საჭიროც არის, უპასუხა ვანომ და ფეხს აუჩქარა.

(შემდეგი იქნება.)

და ჭორის გავრცელებას. სხვის მფარველობა ანდროსათვის მეტი უგემური ხილი იყო. ანდროც საზოგადოების განგაშს აჰყვა და მალე ხომ სარწმუნო პირიც გახდა. ანდრო თიკოს ბიძაშვილების ოჯახში შინაური კაცი იყო. თიკოს ძალუა დიდი ხანი იყო, რაც ანდროს თავისს უფროს ჯალს უმზადებდა საცოლოთ, და რასაკვირველია ანდროს ყოველსავე ნაბიჯს თვალ-ყურს გაფაციცებით ადევნებდა.

თიკოს ძალუამ ანდროსთან ყოფნის დროს შეამჩნია, რომ ანდრო განსაკუთრებულს ყურადღებას თიკოს აქცევდა. ეს გარემოება კმაროობდა, რომ თიკოს ერთად-ერთი მახლობელი ოჯახი მტრად გარდაჰქცეოდა. თიკოს ბიძაშვილების ოჯახში ჭორს სინამდვილის ელფერი დაენათლა და უფრო ძლიერებით გავრცელდა ხალხში. მაგრამ განა მარტო სიტყვით მტრობა აკმარეს თიკოს? სულ ერთი კვირა აღარ გასულა იმ თიკოსთვის უბედური საღამოს შემდეგ, რომ თიკოს ძალუამ თავისი ორი პატარა ქალ-ვაჟი თიკოს სკოლიდგან გამოიყვანა. ნათესავმა, მახლობელმა, თიკოს სკოლის საძირკველს პირველად დაჰკრა წერაქვი და შესამჩნევადაც შეარყია. შინაურს გარეულიც აჰყვა და სულ ცოტა ხანში თიკოს სკოლას ოც-და-თხუთმეტი მოწაფის ნაცვლად ექვსი მოწაფე-ღა შერჩა; ისიც სოფლელები. ადგილობრივ მცხოვრებთ ყველამ ზედი-ზედ გაიყვანეს სკოლიდგან შვილები, დიდს იმედებზე—გაბედვით დაწყებული საქმე შეირყა და გაუფურჩვნელად უკუსვლელობა დაიწყო. მაგრამ სკოლის პატრონი მოულოდნელმა ბორძიკმა მეტად მოუმზადებლად მოასწრო, დაჰკოდა, დაულაღა გული, თითქო გონება-ჭკუაკი დაუჩლუნგდა. მოღიმარი, ცქრიალა და იმედებით აღსავსე თიკო მოღრეცილურდა, მოსწყდა. სამარისებულ სიჩუმით შემოსილს დაობლებულს სკოლაში თიკოს აჩრდილი-ღა დადიოდა. თიკოს სკოლის ასე უბედურად დატრიალება თუ აწუხებდა, არა ნაკლებ ამ გარემოების მიზეზი უდაგავდა გულს. უბრყვილო შეულ-ხველს ბუნებით აღჭურვილს თიკოს ვერ წარმოედგინა, რომ საზოგადოებამ, რომელმაც პირველში ასე გულუხვი შემწეობა აღმოუჩინა, მოულო ბოლო იმის სკოლას.

— მარტო მე, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე და ღირსეულადაც ვიტანჯები! იმეორებდა საცოდავი თიკო. ერთხელაც-კი არ მოჰსვლია ის აზრი, რომ იგი გახრწნილი საზოგადოების მსხვერპლი იყო. რა იცოდა თიკომ, რომ საზოგადოებამ იმისი პირადი წმიდა გრძნობა გაჰკიცხა. თიკომ თავისის უბედურების მიზეზად თავისი თავი აღიარა და ჯეროვანი სასტიკი მსჯავრიც გამოუნახა... მხოლოდ ცხოველ-მყოფელი ერთი იმედი ვანო-ღა შერჩა და უკიდურესი უბედურება თავიდამ ააცდინა, მცირე ხნით თიკოსთან შეწყვეტილი სიარული გააახლა და ყოველს თავისუფალს წამს თიკოსთან ბიისწრაფებოდა, ამხნევებდა და აიმედებდა.

— დიდი, დიდი სირცხვილია, ჩემო კარგო, ერთის წაბორძიკებით საქმეს ჩამოეცალო, გული აჰყარო და მტერი გაახარო, უმეორებდა ვანო.

— თუმცა უკანასკნელი იმედის ძარღვის ცემა ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ...

— მაგრამ?

— ის, რომ კარგად ვგრძნობ ძალონე მისუსტდება; ვგრძნობ, რომ დიდხანს ველარ შევძლებ ბრძოლას, თუ ჩემს საქმეს სიცოცხლისა და გამობრუნების ნიშანი მალე არ დაეტყო.

— განა საეჭვოა, რომ მომავალი გამარჯვება ჩვენია? გირჩევ მოთმინება, ხასიათი მოიკრიბე; უბედურებას უნდა გაძლება, თორემ ბედნიერება ხომ თვითონ ალაღებს ადამიანს. მალე ყველა სასწავლებლებში მოსწავლეებს საზაფხულოდ დაითხოვენ; შენ, რასაკვირველია, ზაფხულშიაც განაგრძობ სწავლას. თავისუფლად დარჩენილს ბავშვებს საზაფხულოდ უეჭველია შენ მოგაბარებენ, რომ სკოლაში შეძენილი უქმად ყოფნამ არ დაავიწყოს. მერე ისიც უნდა გითხრა რომ მე სწავლის გათავების უმალ საზაფხულოდ ზემო-კახეთში ვაპირებ წასვლას; რაკი მე აქაურობას ცოტა ხნით მაინც მოვშორდები, იმედია უსინიდისოდ აყაყანებული ხალხი დაცხრება, ენას დაიმოკლებს, მაგრამ თუ ეს იმედიც გაგვიცრუვდა, მაშინ?...

— მაშინ ის-ღა დამრჩენია, რომ საკუთარი ხელით დავმარხო ჩემი... თიკომ სიტყვები ველარ დაამთავრა. გული ყელში მოეჯიბნა და თვალებიდამ მდუღარე ცრემლი გადმოსქდა: ვანო თიკოს მიუახლოვდა და თანაგრძობით, ლ[illegible]ბიერის კილოთი უთხრა:

— რათა სტირი თიკო? რათ იცი ყველაფრის ასე უკიდურესად განმარტება. მაშინ შენი სკოლა სამარეს კი არა და ახალს პატრონს ჩაბარდება. შენ დაუყოვნებლივ მაცნობებ საქმის გარემოებას და თუ დღევანდელი ყოფა არ განკარგდება, მაშინათვე ტფილისისკენ გავემგზავრები. იქ სკოლისათვის ახალს პატრონს მოვნახავ, მეც შევეცდები სხვაკან გადავიდე და...

— და... რაღას დასჩუმდი? შეეკითხა თიკო, რომელმაც ვანოს ლაპარაკში ცრემლი შეიმაგრა.

— დაბოლოვება რაღა საჭიროა. ისედაც გაუგებარი არაფერია ჩვენთვის.

— მაშ აქედგან გადაყვანა რაღა საჭიროა.

— აუცილებლად საჭიროა! მე არ შემიძლიან ვიცხოვრო იმ საზოგადოებაში, რომელმაც ასე უსინიდისოდ გაჰკიცხა ჩვენი გრძნობა. იგი გაიხადა ფარ-ხმალად კეთილი საზოგადო საქმის წინააღმდეგ საბრძოლველად და დასამხობად. ან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ამ უმზგავს, უსინიდისო, ცილის-წამებით შეზელილს საზოგადოებაში აღორძინებულ და აღზრდილ ოჯახიდგან? უვიცობა, ქიშპობა—ცილკერძოობა და ურთიერთის მხოლოდ განკიცხვა ცილის-წამების ბუღიდგან შემდგარმა ჰაერმა რა სიკეთე უნდა ჩაჰბეროს ოჯახს? არა მე აქ ოჯახობრივს ცხოვრებას საიმედოდ ვერა ვხედავ; ამიტომ ჩვენი უკანასკნელი იმედი

საქმეს ჩამოეცალო, გული აჰყარო და მტერი გაახარო, უმეორებდა ვანო.

— თუმცა უკანასკნელი იმედის ძარღვის ცემა ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ...

— მაგრამ?

— ის, რომ კარგად ვგრძნობ ძალონე მისუსტდება; ვგრძნობ, რომ დიდხანს ველარ შევძლებ ბრძოლას, თუ ჩემს საქმეს სიცოცხლისა და გამობრუნების ნიშანი მალე არ დაეტყო.

— განა საეჭვოა, რომ მომავალი გამარჯვება ჩვენია? გირჩევ მოთმინება, ხასიათი მოიკრიბე; უბედურებას უნდა გაძლება, თორემ ბედნიერება ხომ თვითონ ალაღებს ადამიანს. მალე ყველა სასწავლებლებში მოსწავლეებს საზაფხულოდ დაითხოვენ; შენ, რასაკვირველია, ზაფხულშიაც განაგრძობ სწავლას. თავისუფლად დარჩენილს ბავშვებს საზაფხულოდ უეჭველია შენ მოგაბარებენ, რომ სკოლაში შეძენილი უქმად ყოფნამ არ დაავიწყოს. მერე ისიც უნდა გითხრა რომ მე სწავლის გათავების უმალ საზაფხულოდ ზემო-კახეთში ვაპირებ წასვლას; რაკი მე აქაურობას ცოტა ხნით მაინც მოვშორდები, იმედია უსინიდისოდ აყაყანებული ხალხი დაცხრება, ენას დაიმოკლებს, მაგრამ თუ ეს იმედიც გაგვიცრუვდა, მაშინ?...

— მაშინ ის-ღა დამრჩენია, რომ საკუთარი ხელით დავმარხო ჩემი... თიკომ სიტყვები ველარ დაამთავრა. გული ყელში მოეჯიბნა და თვალებიდამ მდუღარე ცრემლი გადმოსქდა:

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.)

შემდგომ იმ პასუხისა, რომელიც ბ-მა ნელიდოვმა მისცა სომეხთა კათალიკოსს, კოსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარხმა ელჩებს წერილით მიჰმართა.

პატრიარხმა დაუსახელა ძალადობა, რომლიც ოსმალთ იხმარეს, ხმარობენ დღესაც და უთუოდ არც შემდეგში იქმნებიან სომხები თავისუფალნი ასეთ ძალადობისაგან; აღნიშნა უკიდურესი გაჭირვება, რომელშიაც დღეს არიან სომხები ჩაცვივნილნი და რომელიც შემდგომში ერთიორად იმატებს. ამისათვის პატრიარხმა სთხოვა, მიიღონ საჭირო საშუალებანი სომეხთა ერის დასაცველად, რომელსაც დედა-მიწიდგან აღგვა მოელის და აგრეთვე სასტიკი გამოძიება მოახდინონ ამ საქმეში დამნაშავეთა შესახებ.

აქ ერთი რამ არის საგულისხმო: რომ სომეხთა პატრიარხი ოსმალეთისავე სატახტო ქალაქში ჰკიცხავს ოსმალეთს მხეცურ საქციელს, მთავრობასა და თვით სულთანსაც!

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ. მარკიზ სოლსბერიმ ბრაიტონში წარმოსთქვა სიტყვა პასუხად იმ წერილისა, რომელიც ოსმალეთის სულთანისაგან მიიღო.

„ლორდ გერეოგნო და ჯენტლმენნო! დაიწყო სოლსბერიმ, ვიდრე ჩვენ შინაურს საქმეებს შევეხებით, მე ვითხოვ ნებას ვსთქვა რამდენიმე

სიტყვა პასუხად (ცნობილი და შორეული კორესპონდენტისა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, რომელიც მთხოვს ვილაპარაკო მასზედ წინაშე ჩვენის ქვეყნისა. თქვენ გაგიკვირდებათ, როდესაც ამ კორესპონდენტის ვინაობას შეიტყობთ. სხვა კი არავინ გეგონოთ, ეს თვით ოსმალეთის სულთანია. (ტაშს უკრავენ) მე კარგადა ვგრძნობ, რომ მეტი იქნება მივაქციო თქვენი ყურადღება დიპლომატიურ წვრილმანებს და იმედიც მაქვს მიმიხვდებით, რატომ არ მინდა გავარჩიო ის წერილი, რომლის ზოგიერთა ადგილებსაც მე ეხლა წაგიკითხავთ. უკანასკნელს ბანკეტზედ გილდგოლში მე ვთქვი, რომ დიდად ვექვობ, რომ ოსმალეთში აღთქმული რეფორმები განხორციელებულ იქმნან-მეთქი. მისმა უდიდებულესობამ ინება, თვისს ეპისტოლეში შეენიშნა, რომ ჩემ-მიერ გამოთქმულმა ეჭვმა მას დიდად აწყენინა, რადგანაც რეფორმების შემოღება ჩემი პირადი საქმეა და რადგანაც მსურს აღსრულებაში მოვიყვანო იგინი, რამდენადაც-კი შესაძლებელიაო (ისმინეთ). ის ამბობს:—ამავე გვარად მე არა ერთხელ მილაპარაკნია ჩემს მინისტრებთან და თუ სოლსბერს ჰსურს ჩემი კეთილი განზრახვანი საექვოდ აღიაროს, ეს უნდა ავხსნათ ან აქ მყოფ ზოგიერთა პირების ინტრიგებით, ან არა არა სრულის სინამდვილით გარდაცემულ ამბებით.“ მოჰყავს რა კიდევ რამდენიმე შენიშვნები, მისი უდიდებულესობა განაგრძობს: მე ვიმეორებ, მსურს რეფორმები აღსრულებაში მოვიყვანოო. მე ხელში ავიღებ რეფორმების წერილობითი აქტს და თვით ვადევნებ თვალ-ყურს, რომ ყოველივე მისი მუხლი აღსრულებაში იქმნას მოყვანილი; ეს ჩემი მტკიცე გარდაწყვეტილებაა და ვსდებ პატიოსანს სიტყვას, რომ იგი აღსრულებაში იქნება მოყვანილი. მე მსურს, რომ ლორდ სოლსბერიმ ეს იცოდეს, მე ვითხოვ და მსურს, რომ მისმა ბრწყინვალებამ ინებოს წარმოთქმა მეორე სიტყვისა, რომელიც იქნება გამომხატველი მისი მეგობრული განწყობილებისა ჩემდა და ჩემი ქვეყნისადმი. მოუთმენლად ველი ამ ეპისტოლეს შედეგს“. (ტაშის ცემა და ძახილი: სამჯერ დაუკარით ტაში ლორდ სოლსბერის!“).

„მე მგონია, რომ წერილის უკანასკნელი სიტყვები მიგახვედრებდნენ თქვენ, რათ წავიკითხე იგი შეუცვლელად. მე აღვასრულე ის, რასაც მოითხოვს ზრდილობა და ესევე ძლებს ვალად არ გავარჩიო თვით ეპისტოლე».

შემდეგ ამისა სოლსბერიმ სთქვა, რომ სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ ინგლისი ხელმძღვანელობს და მასზეა დამოკიდებული ესა თუ ის ევროპის სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებანიო. ეს ტყუილია, ინგლისი იმოქმედებს მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა შეთანხმებით და თუ ამ საერთო საქმეში ყველანი უკან გადგნენ, ინგლისიც შესწყვიტავს თავისს მოქმედებასაო.

სოლსბერი დიდად სწუხს რუსთემფაშას ავადმყოფობას და ამბობს, რომ თუ ამისთანა პირნი ეყოლებიან აბდულ-ჰამიდს მმართველებადაო, მაშინ შესაძლებელია ოსმალეთში არევდარეული საქმეების რიგზე მოწყობაო.

თეატრის მატიანე.

ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, ჩვენმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ ავალიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა ა. დიუმას ცნობილი დრამა „მარგარიტა გოტიე“. ამ სეზონში ეს პირველი ბენეფისი იყო; ამას გარდა მობენეფისეს ხანგრძლივი და ბეჯითი სამსახურისათვის პატივის-ცემის ნიშნად წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, თეატრის დარბაზი თითქმის გაივსო და ქ-ნი ავალიშვილისა ხანგრძლივის ტაშის-ცემით და რამდენიმე ძვირფასი ნივთითა და გვირგვინით დასაჩუქრებული იყო.

რაიცა შეეხება თვით პიესის წარმოდგენას, თუმცა საუკეთესო არტისტები იღებდნენ მონაწილეობას, მაყურებელი ძალიან ძნელად წარმოიდგენდა, რომ მის წინ სწარმოებს მოქმედება ესრედ წოდებულის პარისის Le demi monde'-ის ცხოვრებიდგან და ალ. დიუმა ხომ შეუდარებელია ამ ცხოვრების აღწერაში. არც ტანთსაცმელით (ქ. ავალიშვილის გარდა), არც მიხვრა-მოხვრით ჩვენი არტისტები არ მოგაგონებდათ ფრანსელებს, თუმცა ერთმანეთს დევარვილებს, გუსტავებს და ნიშეტტებს უძახოდნენ.

პიესის ორს უმთავრესს როლს თამაშობდნენ ქ. ავალიშვილისა და ვ. ალექსი-მესხიშვილი. ქ-ნი ავალიშვილისა მარგარიტას როლში სუსტი იყო, ეს როლი მისთვის ძლიერია და ამგვარი როლისათვის მეტის გრძნობით და ვნებათა ღელვარებით, მეტის სიმტკიცით და თავ-გამტანელობით უნდა თამაშობა, ვიდრე მობენეფისეს შეეძლო მის არტისტიულ ხასიათის და თვისებების გამო. მართალია, ქ. ავალიშვილისას ეტყობოდა, რომ როლი კარგად შეესწავლა, მის ხასიათზე ბევრიც ეფიქრა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან, ვიმეორებთ, ეს როლი მისთვის ძალიან ძნელია. უკეთესი იყო, რომ ქ. ავალიშვილისა არ გამოსდგომოდა ცნობილი პიესის სახელს და სხვა უფრო ადვილი პიესა ამოერჩია თავის საარტისტო დღესასწაულობისათვის.

ბ. ალექსი-მესხიშვილს ავადმყოფობა უშლიდა და არმანის როლი ისე კარგად ვერ გაატარა, როგორც შეეძლო. არ შეგვიძლიან თეატრის ადმინისტრაციას არ ვუსაყვედუროთ, რომ სცენაზედ ავადმყოფი არტისტი გამოჰყავთ: უკეთესი იქნება ალექსი-მესხიშვილი შეასვენონ, ვიდრე სრულიად მორჩება და დროებით მხოლოდ რეჟისორობა აკმარონ.

დანარჩენ არტისტებზე ბევრს არას ვიტყვით იმის გარდა, რაც ზევით საზოგადოდ ვსთქვით; მათი როლები, მართალია, პატარეები იყვნენ, მაგალითად, გასტონისა (კ. მესხი), არმანის მამისა (კ. ყიფიანი) და სენგოლონისა (ბ. გედევანოვი), მაგრამ არტისტების გულ-მოდგინეობაზედ იყო დამოკიდებული ამ როლების გამოხატვა ისე, რომ მაყურებელის ყურადღება მიექციათ და წარმოდგენაში უკანასკნელი ადგილი არ დაეჭირათ. ამ წარმოდგენაში ყველა ეს როლები მეტად მკრთალები გამოვიდნენ.

პიესა საზოგადოდ კარგად იყო მოწყობილი და მხოლოდ ორიოდე გარემოებას მივაქცევთ რეჟისორის ყურადღებას. პირველ მოქმედებაში ვახშმის წინ სცენაზე ბევრნი მომქმედნი პირნი რომ მოგროვდნენ, ცოტა არეულობა მოხდა: არტისტებმა კარგად არ იცოდნენ, ვინ საით და როგორ წასულიყო და სად დამდგარიყო; შემდეგ, ვახშმის დროს მომქმედთა პირთა ლაპარაკი სულ არ ისმოდა; მეხუთე მოქმედება დილით სწარმოებს და ფანჯარაც გაალეს სინათლე შემოვიდესო, მაგრამ სინათლე არ შემოვიდა და ლამპა და სანთლები მოქმედების ბოლომდის არ გააქრეს. ყველა ეს მაყურებელს ილიუზიას უკარგავს და ამგვარი ნაკლის აცილება საჭირო და შესაძლებელიც არის.

ს—ი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ნოემბერი.

პეტერბურგი. 15 ნოემბერს, ცარსკი სელოში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ზღვის აგენტი, კაპიტანი კალაუ, რომელიც გერმანიის საელჩოში ირიცხება და მიართვა მისს უდიდებულესობას გერმანიის იმპერატორისაგან გამოგზავნილი წიგნი გერმანიის სამხედრო ფლოტის შესახებ.

გენერალი გრაფი გეიდენი სახელმწიფო საბჭოს წევრად იქნა დანიშნული.

კრონშტადი. ნავთსადგური გაყინა. პეტერბურგთან მიმოსვლა პირდაპირის გზით შეწყდა.

დარმშტადი. დიდი ჰერცოგი მეუღლითურთ პეტერბურგს წავიდა.

კონსტანტინოპოლი. არზრუმიდან იუწყებიან, რომ იქ 14 ნოემბერს მომხდარა არეულობა: 5 სომეხი მოუკლავთ და 1 დაუჭრიათ.

ბელგრადი. პარლამენტი გაიხსნა.

ლონდონი. პარლამენტის წევრად ნამყოფ ბალფურს ერთის საკრედიტო დაწესებულების აქციონერების მოტყუებისათვის სამსჯავრომ გადაუწყვიტა 14 წლით დაპატიმრება ციხეში.

რეიტერის სააგენტო იუწყება: „სახელმწიფოებმა უარი განუცხადეს პორტას იმის შესახებ, რომ სტაციონერები არ იქნან შეყვანილნი სტამბოლში“.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოლოვიოვ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზრიტკასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშკევიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრიტკასევიჩი, 5—6½ საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—50).

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სასასყიდათ თარგმანი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა.

„კულტურა“
ანუ
კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება.
თხზულება იულ. ლიპპერტისა.

ეს თარგმანი გამოვა სამ წიგნად და ეღირება თითო მანეთად. თუ ამ თავითვე წიგნების შემძენნი ისურვებენ ხელის მოწერას და ამ თავითვე საფასურს გარდაიხდიან—იმათ დაეთმობათ სამივე წიგნი ორ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება: ქ. ტფილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში“. ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან; ბათუმში—გერონტი კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და გორში—არსენ კალანდაძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

მეფე ირაკლის
გმირები
ფასი სამი შაური.

წიგნის მაღაზიებს და ვინც ათ ცალზედ მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან 1896 წლის

ქართული
კედლის კალენდარი
შედგენილი
ზ. ჭიჭინაძის-მიერ.
ფასი 40 კაპ.

გარეშე პირთ შეუძლიათ მიმართონ ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიას და ს. მ. ლაზარევის სამწერლო ნივთეულობის მაღაზიას. (5—1).

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1896 ГОДЪ
на новую политическую общественную и литературную
ГАЗЕТУ
„КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во Владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1) Дѣйствія и распоряженія Правительства.
2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу.
3) Хроника: мѣстныя происшествія, извѣстія внутреннія и внешнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.
4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.
5) Судебная хроника безъ обсужденія рѣшеній.
6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, разсказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержанія.
7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Подписная цѣна: съ доставкою во Владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 руб., на 6 м. 4 р. на 3 м. 2 р. 50 к. на 1 м. 1 р. отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписка и объявленія принимаются у издателя Сергѣя Іосифовича Казарова.

Издатель С. Казаровъ. Редакторъ А. Колубейко.

P. S. газета будетъ выходить съ Декабря мѣсяца 1895 г. и разсылаться годовымъ подписчикамъ безплатно.

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Ноября 1895 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.